# იმერეთი

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

პარასკევი 18 ჯულაისი

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზ. „იმერეთი“ თფილისის ქუჩა, ფირალოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში, სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

№ 108 ყოველდღიური გაზეთი — წელიწადი მესამე 1914 № 108



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

— „იმერეთი“ —

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისათვის

**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| ერთი წლით | . . . | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით | . . . | 4 მანეთი. |
| ერთი თვით | . . . | 3 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის | . . . | 1 შაური. |

წლიური დასაკვეთიეთაზ ისზ ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მ. 1/2 წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთის ეთმობათ წლიურათ 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზეთ.

**ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით** редакція „ИМЕРЕТИ“ Гаврiилу Ивановичу Дарахвелидзе **სხვა გვარად გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.**

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაურკვევლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.



## განცხადება.

ქუთაისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი

ამით აცხადებს, რომ

**1. თავისუფალი ადგილები არის ყველა კლასში, 2. თხოვნები და საჭირო მოწმობები მიიღება 20 აგვისტომდი. 3. გამეორებითი და მისაღები გამოცდები დაიწყება 21 აგვისტოდან.**

მერვე კლასში შესვლის მსურველმა თხოვნებთან ერთად უნდა წარმოადგინონ ნახევარი წლის გადასახადი 57 მან. 50 კაპ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საბჭო არ განიხილავს მათ თხოვნებს. თხოვნებთან ერთად უეჭველათ უნდა იქნას წარმოდგენილი უწმ. სინოდის კანტორის მეტრიკული მოწმობა და არა ამოწერილობა.

## ქ უ თ ა ი ს ი
## პირველი კერძო სამკურნალო

ს პ ე ც ი ა ლ ი ს ტ ე ქ ი მ ე ბ ი თ.

**მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.**

**ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:**

**დ ი ლ ი თ.**

პრივატ-დოცენტი ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი პ. პ. **მოსეშვილი** შინაგანი და ნევრების.

| | | |
|---|---|---|
| ბ. ა. მირაქოვი—ყელის, ცხვირის, ყურისა. | . . . . . | 1— 2 |
| გ. ს. ნადირაძე.—შინაგანი და ბავშის | . . . . . | 10—11 |
| ა. ა. **რელიგიონი**—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო ყოველ დღე | . . | 11—2 |
| მ. დ. ბეთანოვი.—კანის, ათაშანგი, ვენერ. | . . . . . | 12—2 |
| ვ. ა. **ჭოდოშვილი**—საბებ., ქალთა და შინაგ. | . . . . . | 12 1/2 2მ |
| **ს ა ღ ა მ ო თ.** | | |
| გ. ლ. **ქარქაშვილი**—თვალის ხუთშაბათობით | . . . . | 4 1/2—5 1/2 |
| ვ. ა. **ჭოდოშვილი**—საბებიო, ქალთა და შინაგ. | . . . . | 5 1/2—6 |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53

**სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოდოშვილი**

ექიმის იკ. ბოკერიას

## საავათმყოფო

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

## მ უ შ ა ო ბ ს

ხრესილის მადნეული წყლის

ძმ. ქორქოლაძეების

## ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; **ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას) კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა.** წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი **ექიმი,** სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს **სადგურ „სერნია ვოდში“ ხრესილში** სტანციაა მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“

## შექსპირი ქართულად!

გამოცემა **ივანე მაჩაბლის** თარგმანებისა.

**მიიღება ხელის მოწერა ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნ**

## შ ე ქ ს პ ი რ ი ს

რვა ტრაღედიის გამოცემაზე: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი იულიოკეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე). -გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდი გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოსცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები. ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა საძნელოა,—მათთვის ხელის მოწერა განაწილებულია სამ ვადად: **პირველი** შემოსტანი—1 მან. მეორე—პირველ ნოემბერს—1 მ., და მესამე—1 მ. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელის მოწერა მიიღება **თფილისში:** ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგას ქუჩაზე, 52), და **ქუთაისში** მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში და ისიდორე კვიცარიძის კანტორა „იმერეთ“-ში გამომცემელი **ქნ. ანასტასია ალექს. ასული მაჩაბლისა**

## თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა

კურსების მადნეული წყლის

## აბანო,

რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯევანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯევანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული **კ უ რ ს ე ბ ი ს ა ბ ა ნ ო** იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საყმაწვილოს, გიმაროი,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.

პატივისცემით **გ. მ. არჯევანიძე.**

ექიმი **მ. დ. ბეთანოვი იღებს კანისა, ვენერიული, და სქესობრივი უძლურებით ავადმყოფთ** დილის 9—12 ს., საღამოს 5—8 ს. აფთიაქის ქუჩა № 24 საკუთ. სახლი.

ექიმი **ი. ა. ცეხანოვსკი** გადავიდა ძველი ბინიდან ივანოვის ქ., შავი ქვის საბჭოს ზევით. ღებულობს ვენერიულ, საშარდე, სიფილისიან და სხვა სასქესო ავათმყოფებს. მიიღება ავათმყოფები დილით 10—1 ს., სად. 5—8 საათ.

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის ექიმი **ვ. ი. კაკიტელაშვილი** საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საგარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით შანათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

**მისამართი:** ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

ქ. ქუთაისში

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება.

მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.

ტელეფონი 153.

დოკტორი მედიცინისა, პრივატ-დოცენტი ვ. პ. **მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევის 5 ს.—8 საათამდი.

გოსპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

ექიმი **ა. მ. ახათიანი** ღებულობს ავათმყოფებს. ქალის, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანის. საშარდე ბუშტის გაშინჯვა ელექტრონის შემწეობით (ცისტოსკოპით).

ექიმმა **ი. ჩარექოვმა** შესწყვიტა ავათმყოფების მიღება ექვს აგვისტომდის.

ექიმი **კ. ტყეშელაშვილი** ღებულობს ავათმყოფს (ვენერიული, კანის, და სიფილისისა) იკვლევს ვასსერმანის მეთოდით სისხლს. დილით 9—1, საღამოთი 6—8 ვიტუშინსკის სახლი, რიონის პირათ პუშკინის ქუჩიდან შესახვევი.

## სამოსწავლო მთავრობის ნებართვით

ამა წლის 1-ლ ეკენისთვიდან ვხსნი ვაგზლის ქუჩაზე, საკუთარ სახლში,

**მე-3 ხარისხის მოსამზადებელ**

## სასწავლებელს

ორივე სქესის ბავშთათვის, რომელსაც მიზნათ ექნება ბავშების მომზადება გიმნაზიების შესასვლელად მეორე კლასამდი.

ბავშების მიღება დაიწყება 20 აგვისტ.

ნინო მათეს ასული

ხოჭოლავასი.





## უმაღლესი სახალხო, თუ სხვა ტიპის სასწავლებლები.

(ბაღდათის, ამაღლების, ტობანიერისა და დიდი-ჯიხაიშის საზოგადოებათა საგულისხმოდ).

მკითხველი საზოგადოება დღეს ხშირად შეხვდება ჟურნალ-გაზეთებში ცნობებს, რომ ამა და ამ საზოგადოებამ განაჩენი დაადგინა და აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა გაუხსნას მათ ახალი ტიპის უმაღლესი პირველდაწყებითი ოთხკლასიანი სასწავლებელი, რომელიც დიდი იმედებით უყურებენ და შეხარიან არა მარტო სოფლის უსწავლელი ხალხი, არამედ ინტელიგენტებიც. ასეთი სასწავლებლების გარშემო დღეს დავა არის ზოგან ატეხილი, წერილებიც იბეჭდება და ვერ გადაუწყვეტიათ, როგორი ტიპის სასწავლებელი უფრო სასარგებლო იქნება სოფლის მუშა ხალხისათვის. რასაკვირველია, ერთი მხრით ასეთი მოვლენა საყურადღებო და სასიამოვნოა მით, რომ ჩვენმა ხალხმა შეიგნო სწავლის მნიშვნელობა, ცდილობს გაამრავლოს სკოლების რიცხვი, თავისი შვილები სიბნელიდან გამოიყვანოს და მით ცხოვრება გაუადვილოს; მეორე მხრით სიმართლე უნდა ვაღიაროთ, რომ სოფლებში ასეთი ტიპის სასწავლებლების გამრავლება არაფერი ხელსაყრელია, რადგანაც საზოგადოება მათ შესანახად თავის წილად ხარჯს გასწევს და სარგებლობას კი სასურველს ვერ მიიღებს. ამიტომ საჭიროა სოფლის ინტელიგენციამ და შეგნებულმა პირებმა ისეთი ტიპის სასწავლებელი გაახსნევიოს საზოგადოებას, რომელიც მათ მეტ სარგებლობას მოუტანს და ეკონომიურადაც წინ წასწევს. დღევანდელი ახალი ტიპის სასწავლებელი ისევ სამოქალაქო სასწავლებელია 1872 წლის დებულობისა იმ განსხვავებით, რომ პირველის კურსი ოთხწლიანია და უკანასკნელს-კი ექვს წლიანი, სამაგიეროდ ახალი ტიპის სასწავლებელში შესასვლელად ბავშს მეტი მომზადება სჭირდება, ძველ სამოქალაქო სასწავლებლებში სამშობლო ენას ადგილი ქონდა, ამ ახალი ტიპის სასწავლებლებიდან კი გამოდევნილია; სამშობლო ენას ადგილი არა აქვს და ის არა სავალდებულო საგნების რიცხვშია შეტანილი და მშობლების სურვილზე დამოკიდებულია ასწავლიან თუ არა თავიანთ შვილებს, და თუ ისურვებენ სწავლებას, იმ შემთხვევაში იმათი ხარჯით უნდა იქნას დაქირავებული მასწავლებელი, რომელსაც კვირაში თითოეულ კლასში ორი გაკვეთილის მეტი არ ექნება; ასეთ პირობებში მასწავლებლათ ყოველთვის მოხვდება ქართული ენის არა მცოდნე პირი, რომელიც უბრალო ლექსებისა და მოთხრობების კითხვით შეიქცევს გაკვეთილის დროს. დღეს კი საჭიროება თხოულობს, როდესაც ოთხ კლასს ქართველი მოსწავლე ასრულებს, მან უნდა იცოდეს მოკლეთ თავისი ქვეყნის ისტორია,—გეოგრაფია და ლიტერატურაც; ამ სასწავლებლებში კი ქართული ენის პროგრამა იმდენათ შეზღუდული იქნება, რომ ოთხი წლის განმავლობაში მოსწავლეებს „ბუნების კარისა“ და „გუთნის“ კითხვას არ მოაშორებენ. მაგალითისათვის დავასახელებ ქუთაისის, სამტრედიისა და მარტვილის უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებლებს; პირველ ორ სასწავლებელში ასწავლიან არა სავალდებულოთ ქართულ ენას, მაგრამ მეექვსე გაკვეთილებზე კვირაში ორჯერ და უპროგრამოთ, მესამე სასწავლებელში-კი სულ არ ასწავლიან ამ საგანს. ამ სასწავლებლებში კურსდასრულებული ყმაწვილები დარჩებიან გარიყული, რადგან ისინი ვერც გიმნაზიებში განაგრძობენ სწავლას უსახსრობისა თუ მოუმზადებლობისა გამო, ვერც სამოქალაქო სამსახურში იშოვიან ადგილს მცირე განათლებისა გამო და არც სოფლებში გამოდგებიან თავის ოჯახებში მუშათ და მეურნედ, რადგან სათაკილოთ ჩასთვლიან. ჩვენი კუთხე სამეურნეო ქვეყანაა, მიწის ნიადაგი და ბუნება ხელს გვიწყობს, ჩვენ კი ჩამორჩენილი ვართ მეურნეობაში და ეს არის უმთავრესი მიზეზი ჩვენი ეკონომიურათ დაქვეითებისა, ამიტომ, ჩემის აზრით, მე საუჭკობესოთ

ვსთვლი ჩვენი სოფლისათვის დაარსებულ იქნას სამი წლის კურსით სამეურნეო-სახელოსნო სასწავლებლები, სადაც სოფლის სკოლების მოსწავლენი განაგრძობენ სწავლას ორკლასიანი პირველდაწყებითი სასწავლებლის დასრულებას შემდეგ.

ამგვარათ სოფლის ბავში ასეთ ტიპის სასწავლებელში მიიღებს საზოგადო განათლებას იმდენს, რამდენსაც მისცემს მას დღევანდელი სამოქალაქო სასწავლებელი და თან შეისწავლის მეურნეობის სხვადასხვა დარგს, როგორც მაგალ., მიწის დამუშავებას, მევენახობას, მეაბრეშუმობას, მეფუტკრობას, ან და ცხოვრებაში გამოსადეგ რაიმე ხელობას. მაშინ ყველა ქალაქს აღარ მოაშურებს, სოფელში ექნება საქმე, იქ დარჩება, მეურნეობას ფეხზე დააყენებს და ამით თავის ოჯახსაც გამოიყვანს სიღარიბიდან და სოფელსაც ეკონომიურათ წინ წასწევს.— ბაღდათის, ტობანიერისა და დიდიჯიხაიშის საზოგადოებათა მცხოვრებლებმა და მათმა მეთაურმა ინტელიგენციამ ასეთი ტიპის სკოლებს უნდა დაუთმონ პირველი ადგილი, ამაღლობის საზოგადოებამ ჯერ უნდა დაიარსოს ორკლასიანი პირველდაწყებითი სასწავლებელი, შემდეგ კი იფიქრონ უმაღლეს სასწავლებელზე, თორემ ეს იმის ემგვანება, რომ ადამიანმა სახლის შენება სახურავიდან დაიწყოს; რაღა თქმა უნდა, რომ სამოსწავლო მთავრობაც ამ აზრის იქნება. „იმერეთის“ 89-ე ნუმერში ამ საკითხის შესახებ მოთავსებულია „მოკეთეს“ წერილი, რომელსაც მე თანაგრძნობით ვეგებები.

ლადო ბზვანელი.

# ქუთაისი.

ახალი ამბავი.

— კვირას, 20 ივლისს, ნაშუადღევის 12 საათზე დანიშნულია სვირის წიგნსაცავ-სამკითხველოს წევრთა კრება. კრებამ უნდა მოისმინოს წლიური ანგარიში და სამკითხველოს საკუთარი შენობის ასაგებათ საშუალების გამონახვა. როგორც გავიგეთ, კრებას დაესწრება წ. კ. გ. საზ. ბიბლიოტეკის მეთვალყურე მ. დოლაბერიძე.

— მოხსენება. ილია ბახტაძემ დასწერა მოხსენება: „მეაბრეშუმობა ჩვენში და მისი ეკონომიური მნიშვნელობა, პარკის მოსავლის რაოდენობა ამ უკანასკნელ წლებში, აბრეშუმის თესლის ღირსება ნაკლულევანება. ამ მოხსენებას ბახტაძე წარუდგენს მომავალ ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმე-მწარმოებელთა კრებას. სასურველია სიეზდზე ასეთი მოხსენებები სხვისგანაც იქნეს წარდგენილი.

— გუბერნატორმა ნება დართო წ. კით. გამ. საზ. ქუთაისის განყოფილებას გახსნას სოფ. ებალურში (ოზურგეთის მაზრა) წიგნსაცავ-სამკითხველო.

— 16 ივლისს დ. ყვირილაში, მატარებელში გადაიცვალა ხანგრძლივი ავათმყოფი, ქუთაისის ქართული გიმნაზიის მე 8 კლასის მოწაფე ვიორგი სამ. ჟორჟოლაძე. ავათმყოფი აგარაკ ბორჯომიდან მოყავდათ.

— 16 ივლისს პეტერბურგის ბირჟის მოქმედება შეჩერებული იყო. ამისთვის ქუთაისის სააღ.-მამულო ბანკს ცნობა არ მიუღია, თუ როგორ გადიოდა ხსენებული ბანკის გირავნობის ფურცლები.

— აგარაკ ბახმაროზე დაუარსებიათ კოოპერატიული ბაკალეინის სავაჭრო, სადაც ფასები საგრძნობელათ დაკლებული ყოფილა. მაგრამ ამას ხელს უშლის რამდენიმე ჩარჩი ვაჭრები.

— გ. ქუჩიშვილის დაკარგული პოემა „სამოთხის კართან“, უნახავს მ. უზნაძეს.

— იმერეთის სხვადასხვა სოფელში ამ სიცხეების გამო ყანები ისევ გამოკეთდა.

— აგვისტოს დამლევისთვის ქუთაისს ჩამოვა საქმეების გასარჩევათ თფილისის სამოსამართლო პალატის სესია.

— დ. სამტრედიაში საზაფხულო კლუბში, 18 ივლისს, გაიმართება ი. მჭედლიშვილის მონაწილეობით ლიტერატურულ-დრამატიული საღამო. მიიღებენ მონაწილეობას ილარიონ ჟღენტი, რიონისპირელი და სხ.

— რეჟისორი შალიკაშვილი ქუთაისში სხვადასხვა მიზეზის გამო კიდევ არ ჩამოსულა. მან ქუთ. დრ. საზ. გამგეობას წერილით აცნობა, რომ 20 ივლისს უსათუოთ მანდ ვიქნებიო.

— ცაცხვებთან არქიელის გორაზე მეფურნე ძლიერ თავაშვებულია, ის ცუდ პურს აცხობს და ზედმეტ ფასებშიც ყიდის. საჭიროა ყურადღება მიექცეს.

კვირას, 20 ივლისს, შალვა ამირეჯიბი ქალაქის თეატრში წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „საქართველოს ეკონომიური ზრდა“. ლექციის პროგრამაა: 1) ეკონომიური წეს, წყობილება საქართველოისა მე 19 საუკუნის დასაწყისში; 2) ხალხთ დასახლება; 3) ეკონომიური კატეგორიები; 4) სოფლები და ქალაქები; 5) პირველი ადმინისტრატიული რეფორმები; 6) საგლეხო რეფორმა; 7) დასაწყისი ეკონომიური განვითარებისა; 8) ლიტერატურა და ეკონომიური იდეები; 9) საქართველოს კულტურული ზრდა ეკონომიური აღორძინებით და 10) დასკვნა.

— როგორც დაბა ახალ-სენაკიდან გვატყობინებენ, 13 ივლისს ვიღაც ბოროტ გამზრახველი შესულა დიმიტრი ჟვანიას მაღაზიაში, საიდანაც წაუღია 450 მანეთი ფულათ და 1000 მანეთის საქონელი ბოროტმოქმედი ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

— ჩვენი გაზეთის 102-ე №-ში მოთავსებულ სადგურ ლაშეში ყაჩაღების დაჭერის შესახებ ცნობაში მოთავსებულია ვითომც ისინი გამოტეხილიყვენ გოკიელოვის მოკვლის განზრახვაში. ეს ცნობა, როგორც გვითხრეს, სიმართლეს მოკლებული ყოფილა.

— რედაქციამ მიიღო შ. არაგვისპირელის მოთხრობების მეხუთე წიგნი. წიგნი სუფთადაა გამოცემული, შეიცავს 247 გვერდს და ღირს 10 შაურათ.

როგორც დანამდვილებით გავიგეთ ტყიბულის ფოშტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსის დაბეზღებით ჟანდარმებს დაუტუსაღებიათ სიმონ ანდრიას ძე ბისტრინი.

— ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთმა“ მიიღო ხელისმომწერლებისათვის დასარიგებლათ და გასასყიდათაც შემდეგი ახალი გამოცემები: „ვეფხის-ტყაოსანი“ ი. აბულაძის რედაქციით და იგივე ს. კაკაბაძის რედაქციით, გ. ტაბიძის ლექსები, (ფ. 3 აბაზი), გ. ქუჩიშვილის ნაწერები (ფ. 3 აბაზი), ჟურ. „ნაკადული“ 13-ე № მცირეწლოვანთათვის.

კანტორამ მიიღო გამომცემლებისაგან დადაიწყო ხელის მოწერა ივანე მაჩაბლის ნაწერებზე, რომელზედაც ხელის მოწერის ფასის სამი მან. ნაწილნაწილათაც შეიძლება შემოტანა. ამ გამოცემის გამო კანტორის გამგემ ერთს ახალგაზდა ქართველ მოსწავლე ცქიტიშვილს უკვე შეუკვეთა დიდი სურათი კანტორაში გამოსაფენათ.

# თფილისი

**მანიფესტაცია.** ომის გამოცხადების გამო 15 ივლისს, საღამოს ცხრა საათზე, თფილისში მანიფესტაცია მოხდა. რუსულ კლუბიდან ხალხი — რუსობა — გამოვიდა ხელმწიფის სურათით ქუჩაზე და მიხეილის ქუჩით წამოსვლა დააპირა სერგეევის ქუჩაზე, სადაც ავსტრიის საკონსულოა. ხალხი ყვიროდა „გაუმარჯოს სერბიას, ძირს ავსტრია“! ქუჩაზე მოვიდა პოლიცმეისტერი და ხალხს ურჩია დაშლილიყო. მცირე ხნის შემდეგ ხალხი დაიშალა.

— თავად-აზნაურობამ, როგორც ვწერდით, დაადგინა, შეიძინოს 100,000 მანეთად ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან დ. სარაჯიშვილის მიერ ნაანდერძევი მიწა, რომელიც მდებარეობს წყნეთის ქუჩაზე. მამულის ყიდვის საქმე ამ დღეებში უკვე განხორციელდა და საქმის ფორმალური მხარეც შესრულებულია.

— **მასწავლებლის დანიშვნა** კავკავის სკოლის მასწავლებლად დანიშნულმა გიორგი ჭანტურაიამ ავათმყოფობის გამო ამ ადგილზე უარი სთქვა. ამის გამო ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობამ, თანახმად სასკოლო სექციის სურვილისა, მასწავლებლად დანიშნა აკაკი ქავთარაძე, რომელიც სამეგრელოში მასწავლებლობს და გათავებული აქვს ხონის საოსტატო სემინარია.

— **გაზეთის გამოცემის განახლება.** როგორც გავიგეთ, ამ მოკლე ხანში გორში განაახლებენ გაზეთ „ქართლი“-ს გამოცემას.

**ახალი სკოლები.** როგორც ვწერდით, ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობა მომავალ სამოსწავლო წლიდან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში რამდენსამე ახალ სკოლას აარსებს. სახალხო სკოლების დირექტორმა კრუპსკიმ გამგეობას განზრახულ სკოლების პროექტი და ხარჯთაღრიცხვანი მოკითხა. გამგეობამ 15 ივლისის კრებაზე დაადგინა, დაუყოვნებლივ გამოუგზავნოს დირექტორს პროექტები და ხარჯთაღრიცხვანი, რათა 1 სექტემბრისთვის სკოლების გახსნა მოასწროს.

# პასუხათ ია ნარიმეს.

(იხ. „შრომა“ № 19).

ჩვენ საზოგადოთ ექსპანსიური, გატაცებული ხალხი ვართ, ზომიერების დაცვა როგორღაც არ გვეხერხება და ყოველთვის და ყველაფერში უკიდურესობას, ცალმხრივობას ვიჩენთ და ვაჭარბებთ ხოლმე. ხონის მასწავლებელთა კურსების შესახებ გაზეთებში მოთავსებულ ქებით კორესპონდეციებიც ჩვენი ამგვარი თვისების ნაყოფად უნდა ჩაითვალოს. მე სკეპტიკი არ გახლავართ, მრწამს და ვიცი, რომ მასწავლებელთა შორის მოიპოვებიან თავისი დიადი პასუხისმგებლობის მგრძნობი, შეგნებული ადამიანები და ესენი არაოდეს არ დასთმობენ სადი პედაგოგიკის ძირითად დებულებათა და ელემენტარულ მოთხოვნილებათა შელახვას ც ფეხქვეშ გათელვას, მაგრამ ხონის კურსების პირადებით ქებამ ჩემში სიამოვნებასთან ერთად უნდობლობა აღძრა. სასიამოვნოთ და სანუგეშოთ, ცხადია, ის მიმაჩნდა, რომ მასწავლებელნი კორესპონდენტების მოწმობით გონივრულად და მიზანშეწონილად მოქმედებდენ. ხოლო მთელი კრებულის იდეალურად გამოყვანა, ცოტა არ იყოს, საეჭვოდ მომეჩვენა. გადავწყვიტე მე თვით მეხილა და დავმტკბარიყავი კოლეგების მწყობრი და მიზანშესაფერი მუშაობით. მაგრამ, დახეთ საკვირველებას! თითქო განგებ პირველდღესვე კურსებზე ყველაფერი წინააღმდეგს ამტკიცებდა. მასწავლებელმა ქალმა სავარჯიშო გაკვეთილზე ზოგიერთი საჭირო სიტყვა, მაგ. бѣда ქართულად არ თარგმნა და როდესაც ერთმა მასწავლებელმა შენიშნა ამ სიტყვის თარგმნის საჭიროება, კრებამ ეს უარყო და სამაგიეროდ რუსულად ასეთი მაგალითებით ახსნა-განმარტება მოიყვანა: Отецъ съ сыномъ шли по дорогѣ, мальчикъ упалъ въ воду и утанулъ, это для отца бѣда და სხვ. ამავე მასწავლებელს კურსების ხელმძღვანელმა ორხელ ჯერ დიდხანს სიტყვის ნება არ მისცა, ბოლოს აალაპარაკა და, რადგანაც არ მოეწონა, აღარ დაათავებინა და შეაწყვეტინა. მასწავლებლებს კი, თითქო აქ არაფერიაო, სიტყვის თავისუფლების ასე შეზღუდვის გამო კრინტიც არ დაუძრავთ და, მგზავსათ ქუთათურ სამრევლო სკოლების მასწავლებელთა კრებისა, სიტყვის ბოლომდი მოსმენა არ მოუთხოვიათ. გაკვეთილის გარჩევის დროს ლექტორმა ბელსკიმ ის აზრი გამოსთქვა, რომ სკოლაში ბავშებს, რაც შეიძლება ხშირად, წარა-მარა რუსულათ ელაპარაკეთ, დეე, ყველაფერს ნუ გაიგებენ (!): სმენასა და ყურს შეაჩვევენ და ამ გზით ენას ადვილად შეისწავლიანო. თავის აზრის ჭეშმარიტების დასადასტურებლათ ნეტარხსენებული იონოვსკიც იმოწმა, რომლის მოღვაწეობის უმთავრეს მიზანსაც სკოლებიდან ადგილობრივ ენების განდევნა შეადგენდა. ამას შემდეგ თითქმის ყოველდღე კურსებზე დავდიოდი და სანუგეშოს ვერაფერს ვხედავდი, სამწუხაროს კი ბევრს, მაგ. ქართულ გაკვეთილებზე და, ასე გაშინჯეთ პირველ განყოფილებაშიაც კი მოწაფეებს ბრძანებას რუსულად აძლევდენ (встать, сѣсть, тише და სხვ.), რა არის ბავშების სმენა შეეჩვევა და რუსულს ისწავლიანო! სემინარიის დირექტორი ბ-ნი ალექსი ჭიჭინაძე, რომელსაც პირადათ მე დიდ პატივსა ვსცემ და რომლის მოღვაწეობასაც ვაფასებ, მასწავლებელთ მთავრობის წარმომადგენელთა თანდასწრებით ხშირად ურჩევდა რუსულისიტყვების ქართულად თარგმნას რაც შეიძლება ერიდეთ და უფრთხილდითო. ამის მიხედვით კურსისტებიც ხშირად რუსული სიტყვების ქართულად თარგმნას გაკვეთილის ნაკლულოვანებათ სთვლიდენ და ერთმანეთს შენიშვნას აძლევდენ. ახლა თქვენც ამ კურსების ზედგავლენით გაიძახით, რომ მასწავლებელნი მაშინაც სთარგმნიან, როცა ეს საჭირო არ არისო. ნუთუ ისეთი განყენებული ცნების თარგმნა, როგორიც бѣда — ა და რომლის კონკრეტიულად და თვალსაჩინოთ ახსნა შეუძლებელია, თქვენ ზედმეტად მიგაჩნიათ? აკი შარშან წინაღმდეგი აზრის ბრძანდებოდით და ქუთათური მასწავლებელი მჭედლიძე ჯვარს აცვით სწორედ იმისთვის, რასაც დღეს ასე თავგამოდებით იცავთ. რამ გამოიწვია ასეთი ცვალებადობა და წინააღმდეგობა? ნუთუ კურსების ხელმძღვანელთა ავტორიტეტმა?.. ამდენ ხანს ჩვენში პრესისა და მოწინავე საზოგადოების დრტვინვა და მწუხარებით აღსავსე ხმები გაისმოდა იმის შესახებ, რომ სახალხო მასწავლებელნი მთავრობის ძალდატანებით მშობლიურ ენის დაუხმარებ-

*) ვბეჭდავთ ამ წერილს იმ აღშფოთების გასაქარწყლებლად, რომელი აღშფოთებაც გამოუცხადეს ერთს ჩვენ თანამშრომელს კურსელებმა დაბა ხონში ქ-ნ „მასწავლებელ ქალის“ პირველ წერილისა გამო („იმერეთი“ № 92). ამ წერილით ნათლად ირკვევა, რომ „დიდი აღშფოთების“ საბუთი მაინც და მაინც არა ჰქონიათ ბ-ნ მასწავლებელთ, და მათი პროტესტი „იმერეთის“ წინაღმდეგ უსამართლო განზრახვა ყოფილა.

რედ.

# ეროვნული დემოკრატია.

(იხ. „იმერეთი“ №-105.)

რით განირჩევა ეროვნული დემოკრატია სოციალდემოკრატიისაგან? ამ წერილში აღვნიშნავ მხოლოდ პრინციპს, საფუძველს, რომელსაც ეროვნული დემოკრატიული მიმართულება უნდა ემყარებოდეს.

ყოვლის უპირველესად ეროვნული დემოკრატია თავისუფალი უნდა იყოს იმ ვიწრო ფანატიზმისაგან, რომელმაც მოჰკლა სულიერად სოციალდემოკრატია. უნდა იცოდეს, რომ ყველაფერი პირობითია და, დღეს რაც ჭეშმარიტებად მიგაჩნია, ის ხვალ, ახალ ცდათა შემდეგ, შეიძლება უარყოფილ იქნეს.

და კერძოდ სოციალიზმი ფანატიკურად კი არ უნდა გვძულდეს, როგორც სოციალისტებს არასოციალიზმი, არამედ მას მხოლოდ კრიტიკულად უნდა ვუყურებდეთ.

თვარა, ჩვენ რომ სოციალიზმი ხელაღებით, მთლად უარვყოთ, მაშინ ვეღარც იმ კარგს დავინახავთ, რასაც მასთან კავშირი აქვს, და ჩვენი მსოფლმხედველობაც ცალმხრივი, უპირობო, აბსოლიუტისტური იქნება. და ერთს ფანატიკურ დასს კიდევ მეორე მოემატება! გვაშოროს ღმერთმა! უნდა გვახსოვდეს, მაგალითად, რომ ბევრი რამე, რაც კაცობრიობას შეუძენია და მოუპოვებია, მჭიდროდ დაკავშირებულია სოციალიზმთან, რომლის უარყოფა,- ცივილიზაციის უარყოფა იქნებოდა.

ჩვენ ღვიარებთ პიროვნების ისტორიულ მნიშვნელობასა და გვწამს, რომ დიდი პირ ვნებანი, — რასაკვირველია, სხვა პირობებთან ერთან, — ქმნიან ისტორიას.

აღვიარებთ აგრეთვე ინტელლიგენციის დიდს ისტორიულ როლსა და ვშველით მის ზრდასა და განვითარებას.

ჩვენი ეროვნული თვითარსებისათვის აუცილებლად მივვაჩნია, ამიტომ, უმაღლესი სწავლა და ვერ გავიზიარებთ სოციალდემოკრატების აზრს, ვითომ სტუდენტებისა და საერთოდ უმაღლესად განათლებული საზოგადოების, ან ინტელლიგენციის, სოციალური როლი უმნიშვნელოა.

რაც შეიძლება, მეტი სწავლა და ცოდნა! ეს არის ჩვენი ლოზუნგი, რადგან ცოდნა — უმთავრესი შემოქმედი ფაქტორია პროგრესსისა.

და წინააღმდეგ სოციალდემოკრატებისა ჩვენ პატივსცა ვსცემთ მოპირდაპირის პიროვნებასა და არ უარვყოფთ მის კარგს მხოლოდ მიტომ, რომ ის მოპირდაპირეა. გავიმეორებ: ჩვენ არა ვართ ფანატიკოსები.

კრიტიკა თანამედროვე, კაპიტალისტური ცხოვრებისა, იმ ბოროტებისა, რომელსაცა შობს აღვირახსნილი უკიდურესობა ეკონომიურისა და პოლიტიკური ცილობისა, ეს დიდი ღვაწლი, უმთავრესად სოციალისტებს მიუძღვისთ.

ჩვენ რომ ოუენი, ფურიე, სენ-სიმონი, ლუიბლანი, პრუდონი, მარქსი, კროპოტკინი და სხ. სავსებით უარვყოთ, ეს თანამედროვე განათლების უარყოფა იქნებოდა.

აუცილებლობა ექსპლოატაციის შეზღუდვისა, ლატიფუნდიების (დიდი მამულების) დანაწილებისა, მუშათა კანონმდებლობისა, სამუშაო დროის შემცირებისა, კოალიციათა და კავშირთა, ბეჭდვისა, სიტყვისა და კრების თავისუფლებისა, საყოველთაო არჩევნებისა და სხ. — მჭიდროდ დაკავშირებულია სოციალიზმთან.

ამიტომ, უნდა ვისესხოთ სოციალიზმისაგან ყველაფერი, რასაც მნიშვნელობა აქვს პროგრესსისათვის, რაც შეძენაა კაცობრიობისათვის. და ყოველგვარს პროგრესსიულ ინიციატივაში ხელი უნდა გავუწოდოთ მათ.

მაგრამ იმავე დროს ეროვნული დემოკრატია არ უნდა იყოს აბსოლიუტისტური, ე. ი. არ უნდა ცდილობდეს, გაუბატონდეს ყველაფერს. მას, როგორც ცოცხალ პარტიას, ცხადია, დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს, როგორც სხვა პარტიებთან, აგრეთვე სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებასთან. მეტი კიდევ: ის უნდა ცდილობდეს საზოგადო კულტურულ და ეკონომიურ დაწესებულებასთან თანაგრძნობის მოპოვებასა, მაგრამ არ უნდა მოახვიოს თავზე მათ თავისი განსაკუთრებული პოლიტიკური მიზანი და არ უნდა წაართვას დამოკიდებლობა, რადგან თითეულ ეკონომიური და ეროვნულ-კულტურული დაწესებულება — პოლიტიკის გარეშე უნდა იდგეს.

შეიძლება, ამ დაწესებულებათა მსახურნი იყვნენ ეროვნული დემოკრატები, სოციალდემოკრატები, ფედერალისტები და სხ., მაგრამ მათ არავითარი უფლება არ აქვთ კულტურულ დაწესებულებათა შიგან თავისი პარტიული ტაქტიკა და მიზანი შეიტანონ. დიაღ! ხსენებული დაწესებულებანი დამოუკიდებელი უნდა იყვნენ პოლიტიკურ პარტიათაგან.

ამიტომ ეროვნული დემოკრატია, თუმცა ცდილობს, რაც შეიძლება, მეტი თანამგრძნობი იშოვოს თითეულ დაწესებულებაში, მაგრამ თვით დაწესებულებათა დამოუკიდებლობას ხელშეუხებლად სტოვებს და არა სურს გაუბატონდეს, ე. ი. ხელში ჩაიგდოს მთელი ეროვნულ-კულტურულისა და ეკონომიური ცხოვრების სადავე. ასეთივეა ეროვნული დემოკრატიის დამოკიდებულება მუშათა პროფესსიონალურ ორგანიზაციებთან. ეროვნული დემოკრატიაც, როგორც ყოველი სხვა პარტია, ცდილობს, რასაკვირველია, რაც შეიძლება, მეტი, მომხრე იშოვოს მუშათა შორის, მაგრამ იმავე დროს აღიარებს ხსენებულ ორგანიზაციათა დამოუკიდებლობასა და არ ერევა მათს პროფესსიონალურ საქმეებში. და მას, როგორც პოლიტიკურ პარტიას, რომელიც პროფესსიონალური ბრძოლის გარეშე დგას, როგორც ნეიტრალურს, შეუძლია იკისროს მხოლოდ შუამავლობა მუშათა და კაპიტალისტთა შორის.

მაგრამ ეროვნული დემოკრატია, როგორც პროგრესსიული და ხალხოსნური, მოვალეა დაიცვას საკანცნმდებლო საშუალებით მუშათა სამართლიანი მოთხოვნილებანი და უფლებანი, სხვათა შორის, თავისუფლება კოალიციათა, ბეჭდვისა, კრებისა, ბინისა და პიროვნების ხელშეუხებლობა და სხ.

ერთი სიტყვით, ეროვნულმა დემოკრატიამ უნდა იცოდეს, რომ ის საზოგადოების ერთერთი ჯგუფია, რომელსაც განსაკუთრებული, განსაზღვრული მიზანი აქვს და, მაშასადამე, მთელი ხალხის ადგილს ვერ დაიჭერს. ის არ არის აბსოლიუტისტური პარტია და არ ამბობს სოციალდემოკრატიასავით: მე ვარ ერთად-ერთი დემოკრატია, მე ვარ ხალხიცა და ერიცო.

ეროვნული დემოკრატია უარყოფს აგრეთვე სახელმწიფოებრივ სოციალიზმს, აღსარებულს სოც.-დემოკრატიის მიერ, რადგან, ჯერ ერთი, ეს განუხორციელებელი უტოპიაა და უნაყოფოთ ნთქამს აუარებელ ენერგიას, მეორე, ეს იდეალი სარწმუნოებრივ ნატვრად გარდიქცა, აფანატიკოსებს მუშებს, აღრმავებს უფსკრულს და ამწვავებს მტრობას სოციალისტებსა და დანარჩენ საზოგადოებას შორის და, მესამე, სახელმწიფოებრივი სოციალიზმი — პიროვნებისა და თავისუფლების დამმარხველი და დამსამარებელი იქნება.

მაგრამ ეროვნული დემოკრატია აღიარებს: დიდი მამულების დანაწილებას და პატარ-პატარა ნაჭრებად დარიგებას პროლეტართათვის სახელმწიფო ბანკის საშუალებით — ეს იქნება საუკეთესო იარაღი პროლეტარიზაციის წინააღმდეგ. აღიარებს აგრეთვე მუშათა მფარველ კანონმდებლობას, საყოველთაო განათლებას, პროგრესიულ გადასახადებს, საყოველთაო არჩევნებს, ადგილობრივ თვითმართველობათა ავტონომიას, მოხელეთა არჩევას, პიროვნებისა და კავშირთა

ლად აწარმოებდენ და მით მომავალ თაობას გონებრივად სასტიკად ასახიჩრებენო. განა დასაჯერებელია, რომ ეს გასპარიანც-გროზდოვ-კრუპსკის ყოფილნი მასწავლებელნი იმდენათ გამოიცვალენ, რომ მათ დედა-ენის ზედმეტ ხმარების გამო ჩვენი გაფრთხილებაც სჭირდებათ.

არა ბატონებო, ამ მხრით ჩვენ გამაფრთხილებელნი და „ჭკუის მასწავლებელნი" ბევრი გვყავს და თქვენ მიერ მათი ზნეობრივად ზურგის გამაგრება საქმეს სიკეთეს არ უქადის!

ნუ თუ ზემოდასახელებული მიზეზების გამო ყოველი კეთილსინიდისიერი მეთვალყურე ვალდებული არ იყო გაზეთებში მოთავსებული წერილები ცალმხრივად და მიკერძოებულად ჩაეთვალა და კურსების ნაკლიც მიუდგომლად აღენიშნა.

თქვენ, ბ-ნო იავ, წასულ წლების კურსებსა და წრევანდელ ხონის კურსებ შორის გარდუვალ უფსკრულსა ხედავთ და წრევანდელი კურსების ხელმძღვანელის წარსულ წლების ხელმძღვანელებთან შედარებაც კი შეუძლებლად მიგაჩნიათ. ხოლო მე უნდა მოგახსენოთ, რომ ორი წლის წინად ამავე სემინარიის კედლებ შორის კურსები გაიმართა ინსპექტორის კარპოვის ხელმძღვანელობით, სადაც წრევანდელზე მეტი თუ არა, ყოველ შემთხვევაში ნაკლები რიგიანობა არ სუფევდა და თქვენი მტკიცებაც ამ მხრით წრევანდელი კურსების უპირატესობის შესახებ სინამდვილეს არ შეეფერება. წრევანდელი კურსები მეტ ინტერეს შეიცავდა და უფრო საყურადღებოა თავისი შინაარსიანი ლექციებით. ხოლო მე საკამათო საგნათ უმთავრესად კურსების შედგენილობას (მასწავლებელნი) და სავარჯიშო გაკვეთილებს ვსთვლი. ამ მხრით ხონის კურსებზე დამსწრე მასწავლებელთა კრებულს საერთოდ ხოტბა და დიდება არაფრით დაუმსახურებია. აქ, წინააღმდეგ თქვენი მტკიცებისა, შარშანდელ ქუთაისურ კურსებზე ბევრად უფრო დიდი მარცხი მოუვიდა მით, რომ ლანჩხუთის განმანათლებელმა ბაღდაძემ სავსებით მუნჯური მეთოდით მისცა გაკვეთილი. იგი კრებაზე კრიტიკის ქარცეცხლში იქნა გატარებული, რაც ერთის მხრით ჩემის წერილის გავლენითაც აიხსნება, რომელმაც მასწავლებელნი მეტათ გააცხარა და საპროტესტო წერილიც კი დააწერინა. ამ პროტესტის წაკითხვის შემდეგ, თუ კი გაზეთებმა შესაძლოთ სცნო მისი დაბეჭდვა, თქვენც დაწმუნდებით თუ რა რიგ შეგნებულ მასწავლებელთაგან შესდგებოდა ხონის კურსები და რამდენად ნაჩქარები იყო მათი ქება-დიდება. თორემ ისე, მერწმუნეთ მასწავლებელთა შორის, ამ მომავალ მოქალაქეთა აღმზრდელებისა და ჩვენი ბედის გადამწყვეტლების ნათელი და ბრწყინვალე მხარეების აღმოჩენა სხვაზე ნაკლებ არ გამახარებს და აღმიტაცებს; ყოველთვის უზომო სიამოვნებით ცრემლმორეული ვკითხულობ, როცა მათი შეგნებული მოქმედების ამბებს აქა-იქ გაზეთში წავაწყდები ხოლმე.

მე იმ კატეგორიის ხალხს არ ვეკუთნი, რომელთაც ბრალიანისა და უბრალოს დატუქსვა და კერძოთ სოფლის მასწავლებელთა ლანძღვა-გინება მათს გამოსაფხიზლებელ საშუალებათ მიაჩნიათ, მაგრამ დაუმსახურებელი ქება-დიდებაც შეუწყნარებელია, რომელსაც თვითმოქმედების მოდუნება, თვითშეგნების დაბნელება და თავის თავზე გაზვიადებული წარმოდგენის გამოწვევა შეუძლია მხოლოდ. პრესა საზოგადოების უტყუარი სარკე უნდა იყოს, სადაც ერთნაირი სისწორით უნდა სახიერდებოდეს ამ ცხოვრების, როგორც დადებითი, ის უარყოფითი მხარეები.

მასწავლებელი ქალი.

# რუსეთი.

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

**მანიფესტაციები.**

**პეტერბურგი.** ღამე ქუჩებში დიდძალმა ხალხმა პატრიოტული მანიფესტაცია მოახდინა. რამდენიმე ათასმა კაცმა, მეტნაწილად მოსწავლეებმა, ,,ნოვ. ვრემიას'' რედაქციის წინ რამდენჯერმე იმღერა სამეფო ჰიმნი და გაჰკიოდენ: ,,ძირს ავსტრია, გაუმარჯოს სერბიას''. სცადეს გაევლოთ ავსტრიისა და გერმანიის საელჩოებისაკენ, შემდეგ საფრანგეთისა და ინგლისის საელჩოებისაკენ, მაგრამ პოლიციამ გზა შეუკრა. მანიფესტანტები მშვიდობიანად წავიდ-წამოვიდენ. ვარშავის სადგურზე აღფრთოვანებული ხალხი აცილებს სამშობლოში მიმავალ სერბიელ აფიცრებს. მატარებელი რომ დაიძრა, ყვიროდენ ,,ჟივიო, გაუმარჯოს სერბიას".

**მოსკოვი.** საღამოს 11 საათზე 500 ინტელიგენტმა თავი მოიყარა ტვერის ბულვარზე. ისინი სამეფო ჰიმნის სიმღერით ავსტრო-ჰუნგრეთის საკონსულოსაკენ გაემართენ. გზაში პოლიციამ შეაჩერა და მშვიდობიანად დაიშალენ.

**რუსეთის მთავრობის განცხადება.**

**პეტერბურგი.** ოფიციალურათ. მრავალრიცხოვანი პატრიოტული მანიფესტაციები, რომლებიც იმართება სატახტო და სხვა ქალაქებში, ამტკიცებენ, რომ მცხოვრებთა ფართო წრეები თანაგრძნობით ეგებებიან მთავრობის მტკიცე და შეურყეველს პოლიტიკას. მაგრამ მთავრობა დაიმედებულია, რომ ხალხის გრძნობები სრულებით არ მოასწავებენ მტრულს განწყობილებას იმ სახელმწიფოებისადმი, რომელთანაც რუსეთს მშვიდობიანი დამოკიდებულება აქვს. მთავრობას ამხნევებს ხალხის სულიერი აფრთოვანება, იგი მოუწოდებს რუსებს სიდინჯისა და მშვიდობიანობისთვის და აცხადებს ამასთანავე, რომ დაიცავს რუსეთის ღირსებასა და ინტერესებს.

**პეტერბურგი.** ავსტრიისა და სერბიის შორის ომის გამოცხადება ელვის სისწრაფით მოედვა ქალაქს. ქუჩებში დიდი მღელვარებაა. საღამოს 10 საათზე ნევის პროსპექტზე მრავალრიცხოვანი ბრბო შეგროვდა და ჰიმნის მღერით სერბიის საელჩოსაკენ გაემართა. გზა-გზა მანიფესტანტებს სხვა ბრბოები უერთდებოდა.ააფრიალეს ათამდი სერბიის დროშა. სერბიის ელჩმა ღია ფანჯრიდან სიტყვით მიჰმართა მათ. შემდეგ მანიფესტანტები საფრანგეთის საელჩოსაკენ გაემართენ, სადაც აგრეთვე მანიფესტაციები გაიმართა, ისმოდა ხმები: „გაუმარჯოს რუსეთ-საფრანგეთის კავშირსაო". შემდეგ შეხვედრილს აფიცრებსაც ოვაციებით მიეგებენ ყვირილით: „გაუმარჯოს რუსის ჯარსაო"

**განკარგულება.**

—**პეტერბურგი.** უმთავრესი გიდროგრაფიული მართველობის ცირკულიარის თანახმად ყველა კომერციულ და კერძო გემებს აეკრძალათ, როგორც დღით ისე ღამით შხერებში გავლა გელსინგფოსიდან განგამდე, ზემო აღნიშნულ რაიონში გემებმა უნდა იარონ ღია ზღვაში. იმავე მართველობის ცირკულიარის თანახმად მცურავი მაიაკით ,,ერანს გრანდი'' მოიხსნა პოსტიდან: გროხარის ,,მაიაკი'' და სხვა სანათები—გელსინგფორსისკენ გზის საჩვენებელი ჩააქრეს. ასეთ განკარგულებას გიდროგრაფიული მართველობა აცხადებს სიზღვაო მრეწველობის წარმომადგენელთა საყურადღებოთ.

# ავსტრიისა და სერბიის ომი.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

**ომის გამოცხადება.**

**ვენა.** (სწრაფი) ოფიციალურ ორგანოს სასწრაფო ნუმერში გამოქვეყნებულია შემდეგი განცხადება ომის შესახებ: „რადგანაც სერბიის სამეფოს მთავრობამ დამაკმაყოფილებელი პასუხი არ გასცა, ბელგრადში 1914 წლის 10—23 ივლისს ავსტრო-ჰუნგრეთის ელჩის მიერ გადაცემულ ნოტაზე, ამიტომ იმპერატორის სამეფო მთავრობა იძულებულია თვით გამოვიდეს თავისი უფლებებისა და ინტერესების დასაცავათ და ამ მიზნით იარაღს მიმართოს. ამიერიდან ავსტრო-ჰუნგრეთი თავის თავს სერბიასთან საომარ მდგომარეობაში სთვლის.

**ინგლისი მზადაა.**

**ლონდონი.** ინგლისის ფლოტმა პორტლანდში დაასრულა ქვანახშირითა და სურსათის დატვირთვა და მზადაა ყოველ წამს ზღვაში გასასვლელათ. პორტსმუტში ფლოტის მობილიზაცია ხდება. შეიარაღებული დარაჯები იცავენ საწყობებს და საზღვაო არსენალს.

**ავსტრო-ჰუნგრეთში...**

**ვენა.** „კორესპონდენტ ბიუროს" ატყობინებენ, რომ არსებულ სამხედრო დადგენილებათა მიხედვით, ყოველი აფიცერი მოწინააღმდეგე სახელმწიფოსი, რომელიც მონარქიის ტერიტორიაზე აღმოჩნდება შეპყრობილი იქნება ჯაშუშობის თავიდან ასაცილებლათ. ამიტომ აუცილებლათ საჭირო იყო გენერალ პუტნიკის შეპყრობა. ცნობები, ვითომც მის საწინააღმდეგოთ ძალას მიმართეს, მართალი არ არის. შეპყრობა მოხდა მისი სამხედრო ღირსების დაცვით. გუშინ განკარგულება გამოიცა, რომ გენერალ პუტნიკისათვის სამშობლოში დაბრუნების შეძლება მიეცათ.

**ვენა.** რადგანაც დიპლომატიური დამოკიდებულებანი შესწყდა, ავსტრიაში მცხოვრებ სერბიელების დაცვა თავს იდვა რუსეთის საელჩომ.

სერბიის ელჩი დილით ბელგრადისაკენ გაემგზავრა. ვენის კერძო ბანკებმა დაადგინეს განაღდების ნორმა უცვლელათ დატოვონ.

გაზეთები იუწყებიან, რომ სერბიელებმა ბელგრადსა და ზემლინას შუა მდებარე ხიდი ააფეთქესო.

**ბუდაპეშტი.** ჰუნგრეთის მუშათა საპენსიო საზოგადოებათა ინვალიდების დეპუტაცია გრაფ ტისასთან გამოცხადდა და აცნობა მას საზოგადოების დადგენილება შეიძინოს ერთი მილიონი კრონის სახელმწიფო რენტა, რათა ამით დაამტკიცოს თავისი ერთგულება სამშობლოსადმი და საჭიროების დროს სხვერპლის მოტანისათვის მზათ ყოფნა.

**ბუდაპეშტი.** 15 ივლისს დეპუტატთა პალატაში პირველმა მინისტრმა ტისამ წარადგინა მოხსენება ომიანობის დროს საგანგებო ზომების შესახებ და განაცხადა, რომ ამ ზომების პალატაში წარდგენა ახასიათებს თანამედროვე მდგომარეობას. ტისამ განაცხადა, რომ მთელი ერი მიისწრაფის მეფის ძახილზე დროშების ქვეშ დასადგომათ. ყველანი მზად არიან გმირული თავდადებისათვის. მთავრობამ ყოველი ზომა უნდა მიიღოს, რათა ეს ძალით თავს მოხვეული ომი არ დასრულდეს ისე, სანამ ჰუნგრეთის ერის სახელს არ დავიცავთ და არ შევქმნით მტკიცე მომავალს მშვიდობიანობისას. აპონიმ მთელი ოპოზიციის მხრივ განაცხადა: „ამჟამად ჩვენ შორის ყოველივე უთანხმოება მოისპო, ჩვენ ვხელმძღვანელობთ მხოლოდ ერთადერთი აზრით, რათა მონარქია, მთელი ძალებით გამოვიდეს საბრძოლად და მიზანს მიაღწიოს. იმედი რომ არ გამართლდეს, რომ მომავალი ანგარიშის გასწორებანი ვიწროთ არ იქნება შემოფარგლული, მაშინ ერი არაფრის წინ არ შესდგება, დარწმუნებული იქნება თავისი ძალის სიდიადით".

გამოქვეყნდა რესკრიპტი პარლამენტის სესიის დახურვის შესახებ. კრებები შესწყდა.

**ვენა.** მთავრობამ გამოაქვეყნა სერბიის საპასუხო ნოტა და თავისი განმარტება, თუ რატომ არ აკმაყოფილებს მას ეს პასუხი: სერბიის მთავრობა განზრახ ამახინჯებს ავსტრიის მოთხოვნილებათა საფუძველს. ავსტრო-ჰუნგრეთს არ უთქვამს, რომ ვითომც სერბია ოფიციალურათ ცდილიყოს ბოსნიის მდგომარეობის შეცვლას. სერბიის [illegible] რომ არ მიიღო [illegible] ჩასაქრობათ, რომელიც მიმართული იყო ავსტრო-ჰუნგრეთის, ტერიტორიალურ ხელუხლებლობის წინააღმდეგ, არ ალაგმა პრესა და ავსტრიის წინააღმდეგ მომქმედი საზოგადოებანი. სერბიის მტკიცება, რომ ის დიდათ შეწუხდა, როცა გაიგო, რომ სერბიის ქვეშევრდომნი მონაწილეობას იღებდენ სარაევოს მკვლელობის მოწყობაში, მართალი არ არის. შემდეგ სერბია ამბობს, რომ კანონების შეცვლა პრესისა და საზოგადოებათა შესახებ უხერხული საშუალებაა ავსტრიის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. სიტყვის ბანზე აგდებაა იმის თქმა, რომ მთავრობას არ მოეპოება საკმაო საბუთი „ნაროდნაია ოდბრანის" საზოგადოების დანაშაულობის დასამტკიცებლად. სერბიამ თანხმობა განაცხადა აფიცრებისა და მოხელეების დათხოვნაზე, მაგრამ ეს თანხმობა შეზღუდა სხვადასხვა პირობით. იმ მუხლში, რომელიც შეეხება ავსტრიის ორგანოების მონაწილეობას მკვლელობის გამოძიებაში, სერბიამ განზრახ შესცვალა სიტყვა „გამოძიება" „სასამართლოს გამოკვლევით"; ნამდვილად ავსტრო-უნგრეთის მთავრობას აზრათ არ ჰქონია სერბიის სასამართლოში ჩარევა, არამედ უნდოდა საპოლიციო გამოძიებაში მონაწილეობის მიღება. დასასრულ, არაა გულწრფელი ის განცხადება, რომ ციგანოვიჩის აღმოჩენა შეუძლებელი იყოვო, ვინაიდან სამი დღის შემდეგ, როცა გამოაშკარავდა მისი მონაწილეობა, რაბარში წავიდა.

**ბუდაპეშტი.** ზემლინიდან იუწყებიან: ჰუნგრეთის გემებით აქ მოიყვანეს 3,500 ავსტრო-ჰუნგრეთის ქვეშევრდომნი ბელგრადიდან. 900 კიდევ დღეს მოელიან.

**გაზეთების აზრი.**

**ლონდონი.** „ვესტმინისტერის გაზეთი" იმედს გამოსთქვამს, რომ ავსტრიას ჯერ არ გადაუდგამს უკანასკნელი ნაბიჯი, და ფიქრობს, რომ მშვიდობიანობის საქმე იმყოფება ავსტრიის, გერმანიისა და რუსეთის ხელში

„კელნიშე ცეიტუნგს'' ატყობინებენ ბერლინიდან: შემცდარი იქნება თუ ვინმე იფიქრებს, რომ გერმანია თავს მოახვევს თავის მოკავშირეს არა სასურველს შუამდგომლობასო.

**ბერლინი.** ,, დოვალ ანცაიგერ" უარჰყოფს ხმებს, თითქოს გერმანიის სამხედრო ფლოტმა კენისბერგში (რუსეთის საზღვრებზეა) წასვლის განკარგულება მიიღო.

**ბუქარესტი.** ოფიციოზური ,,ენდებანდანს რუმენ'' აცხადებს, რომ რუმინია არა ჰფიქრობს კონფლიქტში ჩარევას და მხოლოდ იმითაა დაინტერესებული, რომ ბალკანეთზე ის თანასწორობა არ დაიძველს.

---

სრულ თავისუფლებასა და სხ., ესე იგი იმას, რის განხორციელებაც შესაძლებელია.

ამას გარდა ეროვნული დემოკრატიის საპარლამენტო პოლიტიკა მოითხოვს:

ეროვნულ შკოლებსა და სასამართლოს, დედაენის უფლებას ყოველგვარ დაწესებულებაში, ეროვნებათა თანასწორობასა და ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას.

აღიარებს თუ არა ეროვნული დემოკრატია პრინციპიალურად სახელმწიფოს? აღიარებს, რადგან სახელმწიფო ყოველთვის იქნება. ასე გაშინჯეთ, თვით კროპოტკინის ანარქისტული კომმუნაც კი სახელმწიფოს წარმოადგენს და მერე ისეთს, რომელშიაც პიროვნება მთლად დამონებულია კომმუნის მიერ.

მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ უარვყოფთ სოციალისტურ სახელმწიფოს, რადგან იქ პიროვნებას აღარავითარი ინიციატივა და თავისუფლება აღარ ექნებოდა და, მაშასადამე, კაცობრიობის წინ-სვლის, პროგრესსის, უმთავრესი წყარო დაშრებოდა.

ამგვარადვე უარვყოფთ ყოველს აბსოლიუტისტურ მმართველობას.

სახელმწიფო—ერის ნაწილია, არ შეიცავს მთელ ერს და, მაშასადამე, არ უნდა იქმნეს ბატონი მთელი ერისა.

სახელმწიფო—ეს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ორგანიზაცია არის, ერის მიერ მხოლოდ ზოგიერთი საზოგადო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად წარმოშობილი.

უკიდურესად განვითარებული სახელმწიფოებრივი აბსოლიუტიზმი იყო ძველ პერუში, სადაც სახელმწიფოებრივი მოხელეები ანაწილებდენ მიწის მუშათა შორის ჰირნახულს, შეაუღლებდენ, გაყრიდენ, ამუშავებდენ, აომებდენ მათ და სხვ.

თითქმის ამდენივე უფლება ჰქონდა სახელმწიფოს ძველ ეგვიპტეში, ბაბილონში, ასსურეთში, სპარსეთში და სხ.

და ევროპაში რომ აგრეწოდებული განათლებული აბსოლიუტიზმი განვითარდა მეთვრამეტე საუკუნეში, მისი შეცდომა ის იყო, რომ ცდილობდა, ყველაფერი ხელში ჩაეგდო და მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების სადავე, მზრუნველობა, ხელში სჭეროდა.

სახელმწიფო მე ვარო, ამბობდა საფრანგეთის მეფე ლუი მეთოთხმეტე. და მისმა აბსოლიუტისტურმა პოლიტიკამ ის მთელი ევროპის წინააღმდეგ აამხედრა და საფრანგეთი საშინლად დაამარცხა და დააუძლურა.

ნაპოლეონ დიდს უნდოდა, თავისი აბსოლიუტური ბატონობა მთელ ქვეყანაზე გაევრცელებია. მაგრამ ვერაფერმა ვერ უშველა: ვერც რევოლიუციონურ ომებში გაწვრთნილმა ჯარებმა და ვერც საკუთარმა გენიამ: და მის ომებს—საფრანგეთის დაცემა და დამცირება მოჰყვა შედეგად.

დიაღ! არაფერი არ არის აბსოლიუტური და, როდესაც ნაწილი უბატონდება მთელს, ამას შედეგად მოსდევს ან მთელის განთავისუფლება გაბატონებული ნაწილისაგან ან ეროვნული ორგანიზმის პოლიტიკური სიკვდილი.

გავიმეორებ: სახელმწიფოს—ეროვნული ორგანიზმის ერთ-ერთი ფუნქცია, დანიშნულება, აქვს მინდობილი, სახელდობრ, სასამართლო, პოლიცია, სამხედრო საქმეები, ფინანსები და კანონმდებლობა. ცხადია, მთელი ეროვნული ცხოვრება მარტო ხსენებული ფუნქციებით არ ამოიწურება და არ ამოიწყება. და, როდესაც სახელმწიფო თავის ბუნებრივ საზღვარს სცილდება და ცხოვრების ყოველ დარგში ერევა და ეჩრება,—ეს აბრკოლებს, აფერხებს ეროვნული ორგინიზმის წინსვლას.

სახელმწიფო მოვალეა, მაგალითად, აღმოუჩინოს ქონებრივი შემწეობა შკოლებს. მაგრამ დიდი ბედნიერება იქნებოდა, რომ სწავლების მეთოდის დაწესება ადგილობრივი თვითმართველობის ხელში ყოფილიყო.

სახელმწიფო არ უნდა აბრკოლებდეს აგრეთვე თავისუფალ სწავლას, რადგან ახალი პედაგოგიური ცდები თავისუფალ სასწავლებლებში უფრო ადვილი განსახორციელებელია; უამისოდ კი შეუძლებელია პროგრესსი სწავლა-აღზდის საქმეში.

სახელმწიფო არ უნდა აფერხებდეს და ეღობებოდეს კოალიციათა და სხვა ეკონომიურ კრებულთა, მეცნიერულ და განმანათლებელ საზოგადოებათა და სხ. მოქმედებას, სიტყვისა და კრების თავისუფლებასა, პიროვნების ხელშეუხებლობასა და სხ.

ერთი სიტყვით, სახელმწიფო არ უნდა ზღუდავდეს პიროვნების კერძო ინიციატივასა და თავისუფლებასა და უნდა სჯერდებოდეს იმ მოედანს, რომელიც მას შემოფარგლული აქვს.

ზოგიერთი სოციალისტური ჯგუფი სახელმწიფოს პრინციპიალურად უარყოფს, რადგან ვითომ ეს დაწესებულება ყოველთვის გაბატონებულ კლასსებს ეხმარებოდა დამონებული კლასსების დასაჩაგრავად, ე. ი. კლასსიური ბატონობის იარაღს წარმოადგენდა. მაგრამ ამ თვალსაზრისით ხომ მეცნიერებაც კი უნდა უარგვეყო, რადგან გაბატონებული კლასსები მეცნიერებასაც კი თავისი კლასსიური მიზნისათვის ხმარობენ.

მეორე მხრით, ადვილი გასაგებია, რომ სახელმწიფო მარტო კლასსიური ბატონობის იარაღს არ წარმოადგენს, არამედ თავისი დამოუკიდებელი თვისება და მიზანი აქვს. მაგალითად, სახელმწიფო ის იარაღია, რომელიც იცავს ეროვნულ ორგანიზმს გარეშე მტერთაგან (სამხედრო ფუნქცია), თითეულ მოქალაქეს სხვისი ძალმომრეობისაგან (სისხლის სამართალი), შუამავლობს მოქალაქეთა შორის (სამოქალაქო სამართალი), მუშათა და კაპიტალისტთა კოალიციათა შორის (მაგალითად, ავსტრალიაში), მფარველობს მცირეწლოვანთა და ქალებს (მუშათა მფარველი კანონმდებლობა), მოხუცთ (პენსიები მოხუცთათვის ავსტრალიაში და ინგლისში), ეხმარება გლეხებს მამულების შეძენაში (საგლეხო ბანკები), გაჰყავს რკინის გზები, სჭრის სანაოსნოსა და სარწყავ არხებსა და სხ., ერთი სიტყვით, ასრულებს მრავალგვარ დანიშნულებას, რომელიც აუცილებელია კერძოდ თითეული კლასსისა და საზოგადოდ მთელი ეროვნული ორგანიზმისათვის.

და, რაც უფრო დემოკრატიულია სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა, მით უკეთ ასრულებს ის ამ თავის ბუნებრივ დანიშნულებას.

და ეროვნული დემოკრატიის მიზანი სხვათა შორის ის უნდა იყოს, რომ სახელმწიფომ—კლასსიური ჩაგვრის იარაღის როლი კი არა, თავისი პირდაპირი, ბუნებრივი დანიშნულება აასრულოს.

ცხადია, ხსენებული სოციალისტების აზრი—უკიდურესობაა. მაგრამ კიდევ მეტი უკიდურესობაა მათი მოპირდაპირეების შეხედულობა, ვითომ სახელმწიფო ყველაფერია. პირიქით, ეროვნული ორგანიზმის ფუნქციები მრავალმხრივია, ცხოვრებ რთულია და მდიდარი სხვადასხვა ფუნქციით, ზღვაა, რომელსაც მრავალი სხვადასხვა ნაკადული ერთვის. ამიტომ ეროვნულ ორგანიზმს—სხვადასხვა დანიშნულებისათვის სხვადასხვა ორგანო სჭირდება. არცერთს მათგანს მარტოდმარტოს, ერთად ერთს, არ შეუძლია სხვათა ადგილები დაიჭიროს. და, მაშასადამე, არც სახელმწიფოს, ეროვნული ორგანიზმის ამ ერთს განსაკუთრებულ ორგანოთაგანს, შეუძლია აასრულოს ყველა დანარჩენი ორგანოს დანიშნულებანი.

ისარი.

(დასასრული იქნება).

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.
ამით საყოველთაოდ აცხადებს რომ, ზომიერ ფასებში საუკეთესო ხარისხის საზღვარგარეთის ჯიბის დანები
მიღებულია და იყიდება
პორტფელები, უბის წიგნაკები (კნიჟკები), საანგარიშო რთქები, ყოველ ნაირი საწერი, საბეჭდავი და ფოშტის ქაღალდები.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ელექტრონის მოწყობილება ქ. ქუთაისში.
ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა. მიხაილოვის ქუჩა,
მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილება; ვასრულებთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყოველნაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრებ ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, ლინოლეუმი საუკეთესო განთქმული ქარხნებისა და სხვა ნინოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულიანადღი, ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგნით სპეციალურათ მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი.
პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

Тифлисская контора Акціонернаго Общества пробочной мануфактуры ВИКАНДЕРЪ и ЛАРСОНЪ
симъ имѣетъ честь довести до свѣдѣнія почт. покупателей, что нашъ „ЛИБАВСКІЙ ЛИНОЛЕУМЪ“ въ КУТАИСѢ имѣется въ продажѣ исключительно въ магазинѣ Ф. С. ФИЛИППОВА. Въ виду того, что въ газетѣ „ИМЕРЕТИ“ недавно появилось объявленіе одной кутаисской фирмы, съ предложеніемъ „Либавскаго Линолеума“, считаемъ своимъ долгомъ предупредить лицъ интересующихся этимъ матеріаломъ, что названіе „Либавскій Линолеумъ“ принадлежитъ только производству нашихъ заводовъ и что помимо Ф. С. Филиппова въ Кутаисѣ на линолеумъ у насъ перепродавцовъ нѣтъ. Рекомендуя этотъ фабрикатъ какъ лучшую и гигіеничную настилку для половъ просимъ за смѣтами и другими справками обращаться къ названной выше фирмѣ.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ბაკალიერისა ქ. ქუთაისში.
ფ. ს. ფილიპოვისა. ალექსანდრეს ქუჩაზე
მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილობა; ვასრულებთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყოველნაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის“ სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი ოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია.
პატივისცემით ფ. ფილიპოვი.

რღვევს, რომელიც ბუქარესტის ტრაქტატმა დაამკვიდრა.

**ინგლისური ბირჟა.**

ლონდონი. გრეის განცხადების შემდეგ მრავალი გაზეთი ოპტიმისტურათ უცქერის საქმეს. გაზეთები ამბობენ, რომ ინგლისი მხარს დაუჭერს გრეის შემდეგიბისობის დასაცავად.

„სტანდარტის“ ცნობებით, ავსტრიის ჯარები დღეს შეჰყვნენ სერბიაში.

„დეილი-ტელეგრაფს“ ქვეი აქვს, შემორიგებისა ჩამოვარდეს, რადგან ავსტრია, რომელსაც მხარს უჭერს გერმანია, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ომი.

„მარნინგ პოსტი“ ამბობს, რომ ავსტრიამ თავისი ულტიმატუმით საბრძოლო ამბის გაიმართა.

ლონდონი. „ტაიმსი“ ავსტრიას აფრთხილებს, შეცდომისამბას ნუ დაარღვევს არ არსებულ საბაბის გამო. საიდანაც უნდა გამომდინარეობდეს სერვიელი ჩვენი მეგობრობისა და თანხმობის დარღვევა. შედა ვერა მთელი ძალ-ღონით ავმხედრდეთ მის წინააღმდეგ, როგორც ყოველთვის. ანწინდელ ომს თხოულობს ჩვენი ინტერესი, ჩვენი მოვალეობა და ჩვენი პატიოსნება. ინგლისი უეჭველად გასცემს საჭირო პასუხს.

**ავსტრიის მოკავშირენი.**

ვენა. იტალიის მთავრობამ ავსტრო-უნგრეთს განუცხადა, რომ თუ ავსტრიასა და სერბიას შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდება, იტალიის მთავრობა შეინარჩუნებს მეგობრობას, რომელიც შეუფერება მოკავშირეთა მდგომარეობას.

**სერბიის საპასუხო ნოტის შინ.**

ბელგრადი. სერბიის მთავრობამ განკარგულება გასცა ნოტის ჩაბარების შემდეგ, რომ მიღოთ ზომები კომენდანტის ტანკისტის შესაკრებისთვის, მაგრამ ვერ მოასწრო ავსტრიის სერბის ბრძანებამ. ამ ცოდნისათვის ჩვენების ჩამორთმევა; სერბიის მთავრობა გაამჟღავნებს და განაცხადებს ზომებს, რათა მოსპობილი იქნას იარაღით უკანონო გავრობა. თავისთავად ცხადია, რომ მთავრობა მკაცრ სასჯელს მიაყენებს სამხედროებს მოხელეებს, რომელთაც მოვალეობა დაარღვიეს და შემდეგს მოსვლე დამბშველოა სახლურებსა განსაკუთრების. სერბიის მთავრობა განმარტავს კავშირის მოხელეთაგან ჩვენების, რომელიც ინტერესების დროის განაცხადებს და რომელიც ავსტრიისადმი მტრული განწყობილების ხასიათი ჰქონდა, როგორც კომპეტენტური მთავრობა გააცნობს სახელმწიფო ადგილებს და დაამტკიცებს, რომ ეს განცხადება მართლაც თანხმობის პრობა მათი იყო გაკეთებული. იმ შემთხვევაში, თუ იმპერატორის მთავრობა დაკმაყოფილებული არ იქნება ამ პასუხით, სერბიის მთავრობა, სხვების რომ ასეთის სახლთებს გადაწყვეტაში არ გამოიდება, მზადაა გადასცეს ეს საკითხი, როგორც მიდეს, შემდეგიების შეთანხმებისათვის ჰააგის ტრიბუნალს; ან და იმ სახელმწიფოთა გადასაცემად, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ სერბიის მთავრობის მიერ 1909 წელს გამოცხადებულ დეკლარაციის შემუშავებაში.

**ინგლისის პარლამენტში.**

ლონდონი. თემთა პალატაში გრეიმ განაცხადა, რომ გერმანია პრინციპიალურათ არაა წინააღმდეგი შუამავლობისა ავსტრიისა და რუსეთს შორის, მაგრამ არავითარი პასუხი არ გამოუგზავნია კონფერენციის მოწვევის შესახებ.

ლონდონი. თემთა პალატა. კრიზისის გამო, განმარტების დროს გრეიმ განაცხადა, რომ ინგლისის ელჩებს პარიზს, ბერლინსა და რომში წინადადება მიეცათ შეეკითხონ საფრანგეთის, გერმანიისა და იტალიის მთავრობებს თანახმანი არიან თუ არა, რომ იმათი წარმომადგენლები ლონდონში შეიკრიბნენ გრეის მეთაურობით კონფერენციაზე არსებულ გართულების მოსასპობათ. ამასთანავე გრეიმ წინადადება მისცა ელჩებს, რომ მიმართონ სამივე მთავრობებს წინადადებით, რომ მიიღონ ზომები და ბელგრადში, ვენაში და პეტერბურგში მოლაპარაკების დასრულებამდე შეწყდეს სამხედრო მოქმედება. ამ წინადადებაზე იტალიამ უკვე გამოაცხადა თანხმობა, გერმანიამ კი ჯერ პასუხი არ მოგვცა. გრეიმ დასძინა: ეს საქმე შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ მთავრობების თანხმობით, მათ შორის, რომელნიც უშუალოდ არ არიან დაინტერესებულნი; საქმე ძლიერ სერიოზულია და ამიტომ მე არ შემიძლია ამ ჟამად სხვა რამ ვთქვა; იტალია აგრეთვე ეთანხმება გრეის წინადადებას.

**სერბიის ჯარი.**

ვენა. სერბიამ დაიწყო ჯარის შეკრება დღეის ნაშუადღევს მოვუწოდეთ.

**ინგლისის მაგიერთა-ქალაქის ფლოტი.**

ბერლინი. მთავრობამ განკარგულება გასცა, საფოსტო დაწესებულებებში გასცემენ ფულს ქაღალდის ფულით გამოისწორებით.

**ქრონიკა.**

ბომბეისე. ოფიციალურათ იუწყებიან: ჰოლანდიამ რადიო-ტელეგრაფით შეატყობინა, რომ ჰოლანდია გარემოების იძულებულ იყო დაიწყოს მობილიზაცია. მეფემ დეპეშით მიმართა გამოუცხადა ცნობისთვის და აღნიშნა, რომ გამოცხადების დღეს ამჟამად, როგორც გამოცხადების პროგრამის ზომები, რომ საფრანგეთის უნდა იმდურებებიდეს.

ლონდონ მინისტრთა საბჭოს სხდომა მოხდა. გაზეთების სიტყვით, თუ ომი დაიწყო, დანია ჯარების მობილიზაციას მოახდენს ნეიტრალიტეტის დასაცავათ.

**დაბა-სოფელი.**

დ. შათირა. მოსკოვის კომერციული ინსტიტუტის არსებულ ქართულ ორკესტრის სასარგებლოთ 12 ივლისს დ. ჭიათურაში კინემატოგრაფ „ნიმპარი“-ს შენობაში სოფლის მონაწილეობით გაიმართა ვოკალურ-მუსიკალური საღამო-ტრო—საცეკვაო საღამო. საღამო სამ განყოფილებად იყო. პირველ განყოფილებაში კინემატოგრაფიული სურათები „ჩვენი სოფლის სურათი“ და „მოსწავლე ბიჭები“). სამუსიკო განყოფილებაში—იმღერეს ხელმძღვანელობით სიმღერის ორკესტრისა მომღერლებმა, „ლექსი ჩვენი ცხოვრება“, „გაზაფხულო“, „სულო“, „ნინის გული“ და სხვ. საღამოში მონაწილეობა იღებდა ჩვენი ახალგზა მომღერალი ვ. ლორთქიფა-

ნიძე; მან კარგათ შეასრულა (ოპერა დემონიდან) რომანსი დემონისა. ლამაზათვე იყო შესრულებული არია მეფისტოფელისა (ოპერა ფაუსტიდან) მხოლოდ უფრო ტაშის ცემით და ძლიერი პატივისცემით საზოგადოება მიეგება ამ ახალგაზდა მომღერალს მაშინ, როცა მისგან რამდენიმე ქართული რომანსი იყო შესრულებული. ეტყობა ჭიათურის საზოგადოებას, მიუხედავად წოდებისა, პროფესიისა და მიმართულებისა, დიდი პატივისცემით ეპყრობა ყოველივე ეროვნულს. საყვარელია ქალი, რომელიც გარემოცვიან ებულია იყო პროგრამაში და რომელსაც უნდა შეესრულებინა რამდენიმე რომანსი ქართულად ალაპარაკებული. ხალხი მოვიდა მოწყობილები, მაგრამ ლოღოა, თავის მომღერალთა გუნდით, რომელსაც იმავე დღეს ჩამოვიდა დ. ყვირილიდან აქ 13 ივლისისათვის კონცერტის გასამართავათ, უცვლელ გამოსწორი, თავის ნაცნობლურ კონცერტებში, სცენაზე და შესრულება რამდენიმე იმერულ-მეგრული სიმღერები. საზოგადოება ალტაცებაში მოიყვანა ამ დასამუშავებული სიმღერებით. მათი ძლიერი რიცხვი გუნდმა. ხალხი ძლიერი მადლობელი დარჩა ბ. ლოღუას.

„ეგვა.“

დ. ოზურგეთი. დ. ოზურგეთი ვისაც შეიძლება ის იაჭებს, დედაპალაქია, ეს ბუღაზია, რომელშიაც ალბათ მოვიდა, ვამრთა დრთოდ არის განვითარებული, რის წყალობითაც შემოსავლის წყარო კარგი აქვს. ოზურგეთი, სამართალი, მაგრამ აქ ადგილ მოვალეობათ ბევრ. მეშუპი გამგეობით ინჯინერ გამოიტკინია ხელს, სადაც შემდეგ, ერთი შინ ეკლესია. ერთი ძირით ხეხეა და მოიძამდრე მეორე ძირითად უკან დაბაულე რეჯის გზა, ეკონო ერია, ხოლო შეუწყოს ოზურგეთის ზოგ-გაზეთნობანი და მოხვრილ კლიმატი გადაძალე.

კულტურული მხრით ამ ორი წლის განმავლობაში დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. დაარსდა სამკითხველო ტ. გ. გამ. სახ. სახელით. სამკითხველო დღეს კარგ ნიადაგზე დაყენებულია. არსებობს ქ. გ. ს. საზოგადოება რომლის თავჯდომარეობა ეთნონოზაზე. ბულეგოთელი. გამგეობის წევრები შედეგი მგიდოების ზოგიერთ ფოლუმის სახლებში და საზოგადოებისა წინ წასწიათ.

დღეის მთავარ გამგეობასთან შუამდგომლობას ქართული სკოლის დაარსების შესახებ: ფოქბობ აქვეი სამკითხველოსთანათ საკუთარი შენობა გააყუდოთ, რისთვისაც გამგეობამ სთხოვა ქალაქ მამზარის ფული უფასოდ დაუთმოს მიწა სამკითხველოსთვის, რომლელ საიმედონიში 120 მან. მასალა შეხერხა სამკითხველოს მოსამატე შენობისთვის.

„ოზურგეთის ბ. ხუნკვერის თაოსნობით დაარსდა ოზურგეთის საკუთრივ საზოგადოების მბეჭიდ, რომელიც 15 ივლისიდან დაიწყო მოქმედება. როგორც ვხედავთ, ამ ორი წლის განმავლობაში, მოწინავე ელემენტების წყალობით ოზურგეთი დიდი ნაბიჯი გადადგა, და, იმედია, მისი წინსვლისათვის ამის არ დასრულდება.

7—8 ივლის აქ გვეწვია ქართული და-

სი ვალ. გუნიას მეთაურობით. წარმოადგინეს ორი პიესა: დ. ერისთავის: „ოჯახის გაუბედურება“ და ზუდერმანის „მეშის პატიონება“. წარმოდგენამ საერთოდ მწყობრათ ჩაიარა და ხალხიც ბლომათ დაესწრო. ეკანასკნელი წარმოდგენის გათავების შემდეგ, თ. ხუხუნაიშვილ მიმართა ვალ. გუნიას დასწოლიობის შემდეგი სიტყვით: „ბატონო, ვალერიან! მადლობას გიძღვნით შენ და შენს ამხანაგებს ჩვენი ოზურგეთის პატარა ქართველებს, მადლობას გიძღვნით ჩვენი ნახვისათვის და ესთეტიური გემოვნების გაღვიძებისათვის. დარწმუნებით, ბატონებო, თუ სამშვიდობებოდ ქართულ სიტყვას თქმა და გაცელლება—ეს აქ, ჩვენში, აჭარ ქართველებს შორის. ნუ შეგაშინებთ ნურც სიშორე, ნურც უგზოობა, რაიმე გაჭირვება, მობძანდით და გვასწავლეთ წმინდა ქართული. გაგვაღვიძეთ წმინდა გრძნობანი, მივაიითლეთ ჩვენ ნაცლულებებს...

ზე, ჩავახედეთ ცხოვრების სარკეში, გვანახეთ ჩვენი მახინჯი და სწორი სახე ნი და, დარწმუნდით, იმავე გრძნობით გულის სიღრმიდან ამონახეთქ ცრემლ ნაკადულით, გიპასუხებთ ჩვენც, როგორც გიპასუხეთ გუშინ, როდესაც ხელოვნათ დავესწარიით ჩვენი ეროვნული ცხოვრების მოქმედებში. მაშ, ამ შეხვედრის დროს კვლავ გოხოვთ, დაგვიკრეჩით, ხშირათ მოგვიშორეთ და ნიშად ჩვენი მადლობისა მიიღეთ ეს მცირე ცოცხალი ყვავილები შემოხვდა თავიული, რომელ შიც ჩაქსოვილია ჩვენი ღმერთის ლობა, პატივისცემა და ღრმა სიყვარულის გრძნობანი!“

ქიოშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჯაიანი.

სპეციალური წიგნის მაღაზია
კონსტანტინე ივ. ძის ოცხელისა და ამხ.
(ქუთაისში.)
აცხადებს, რომ იგი იღებს დიდალ წიგნს რუსეთისა და საქართველოს ფირმებისაგან, რომლებთანაც მას აქვს პირდაპირი და სალავათიანი დამოკიდებულება, და გამოწერილ წიგნებს უკეთეს საუკეთესო ადა ახლად გამოსულს საკუთარ საპანზე სახელმწიფოს.
ამის გამო მას, როგორც სპეციალურ და ულიდეს წიგნის მაღაზიას ქუთაისში, ძალუძს შესთავაზოს დაიგვამს წიგნები მეტად სალავათიანი პირობებით ყველა განმანათლებელ დაწესებულებებს; შკოლებს, ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს და სხვ. პროვინციის წიგნის მაღაზიებს მიეცემათ ის დათმობა, რაც შეუძლიათ მათ მიიღონ რუსეთიდან წიგნების პირდაპირი გამოწერით, თუ იგინი ერთი თვით ადრე დაიკვეთენ წიგნებს. მსურველთ ეგზავნებათ უფასოდ ქართული და რუსული წიგნების ახლად შედგენილი კატალოგები.
წიგნის მაღაზიის ჯვერით გამართულია საუკეთესო მოწყობილი საკანცელარიო მაღაზია მ. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყოველგვარი საკანცელარიო და სასწავლო ნივთი მეტად ზომიერ ფასად.

ნ. ს. ტერკის მაღაზია
ქუთაისში
ველოსიპედები



ყველაზე იაფად.
მინები, ნაწილები და მოწყობილობანი კონკურენციის გარეშე
ყველაზე იაფად
ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილობით შეიძლება. მოითხოვეთ პრეისკურანტები უფასოთ.

# რკინის გზა

**ქუთაისიდან მიდის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| თფილისს: | ფოშტის დილის | 11 საათ. | 55 წ. | |
| | ჩქარი ღამით | 2 საათ. | 57 წ. | |
| | სახალხო დილის | 10 საათ. | 10 წ. | |
| | სახალხო ღამით | 1 საათ. | 7 წ. | |
| ბათომს: | ფოშტის საღამოს | 5 საათ. | 30 წ. | |
| | ჩქარი ღამით | 2 საათ. | 57 წ. | |
| | სახალხო საღამოს | 8 საათ. | 35 წ. | |
| | სახალხო დილის | 4 საათ. | 27 წ. | |
| ფოთს: | სახალხო საღამოს | 4 საათ. | 14 წ. | |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. | 57 წ. | |
| | სახალხო დილით | 4 საათ. | 27 წ. | |
| | ფოშტის საღამოს | 5 საათ. | 30 წ. | |
| | სახალხო საღამოს | 8 საათ. | 35 წ. | |
| შორაპანს: | საავარაკო საღამოს | 5 საათ. | 00 წ. | |
| ტყიბულს: | სახალხო დილის | 6 საათ. | 20 წ. | |
| | სახალხო საღამოს | 4 საათ. | 20 წ. | |

**ქუთაისს მოდის.**

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან: | ფოშტის საღამ. | 6 საათ. | 57 |
| | ჩქარი ღამით | 3 საათ. | 50 |
| | სახალ. საღამოს | 9 საათ. | 44 |
| | სახალხო ღამით | 5 საათ. | 50 |
| ბათომიდან: | ფოშტის დღით | 1 საათ. | 25 |
| | ჩქარი ღამით | 3 საათ. | 50 |
| | სახალხო დღით | 11 საათ. | 22 |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. | 23 |
| ფოთიდან: | სახალხო დილით | 10 საათ. | 3 |
| | ფოშტის დღით | 1 საათ. | 25 |
| | სახალხო ღამით | 2 საათ. | 23 |
| | სახალხო ღამით | 3 საათ. | 50 |
| შორაპნიდან: | საავარაკო დილ. | 9 საათ. | 18 |
| ტყიბულიდან: | სახალხო საღამოს | 7 საათ. | 39 |
| | სახალხო დილით | 9 საათ. | 38 |

სტამბა „მნათობი“, ბუქნების ქუჩა სახლი გოკიელის.